# ერი

**ყოველდღიური გაზეთი**

№ 47

წელიწადი პირველი 1913

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით. . . . . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . . . 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

კვირა, 29 დეკემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ"
Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.



„რადიუმი"
შაბათს, 28 და კვირას 29 დეკემბ. ახალი პროგრამა:
I. პატე-ჟურნალი.
II. კაცი-მხეცი. (ქალის ბრჭყალებში) დრამა 6 მოქმედ. ფერადებით.
III. დაკარგული ბედი. კომიკური.
ორშაბათს, 30 დეკემბერს, სხვათა შორის. საცანელი დრ. 3 მოქმედებათ.

დრაპი, შევიოტი, ტრიკო, მაუდი. | კავკაზე დამყარებული ამხანაგობა ს. მ. პირაკოვზოვი და ბ. გ. ოგანოვი | ბუმაზეი, ფლანელი, ვიგონი, შოტლანდკა.

მიღებულია დიდძალი საზამთრო საქონელი | კოტიკი, პლიუში, ველვეტი. | შაბათობით იყიდება იაფათ ნაჭრები. | ველვეტინი, გენუია, იდეალი, ფლორა.



## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
# „ერი"
**ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის**

გაზეთში ახლო მონაწილეობას მიიღებენ ჩვენში ცნობილი პუბლიცისტები, ბელეტრისტები და კრიტიკოსები.

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| ერთი წლით | . . . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით | . . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | . . . . | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | . . . | 1 შაური. |

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მ., 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 5 მ., ნახევარ წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზათ. მისამართი რედაქციისა და კანტორისა: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ" ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს დასაკვეთი ფულიც და სხვ. ივანოვის ქუჩა.

## ქუთაისი.
## თ. მთავრიშვილის და ამხ.
### წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში

იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულსა და რუსულ ენაზე შედგენილი. მაღაზიას მუდმივ მოსდის ახალ-ახალი რუსული და ქართული წიგნები, როგორც რუსეთის ცნობილი ფირმებიდან, ისე საქართველოს ყოველი ქალაქიდან—დაბეჭდვისთანავე.

პროვინციის მოთხოვნილებას მაღაზია დაუყონებლივ აკმაყოფილებს.

მაღაზია ღებულობს ხელის მოწერას ყველა რუსულსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთზე.

## 18 დეკემბრიდან
## დაიწყო ხელის მოწერა

**ია ეკალაძის (ი. ცინცაძის) მოთხრობათა მეორე ტომის გამოსაცემად**

წიგნი შეიცავს 400—500 გვერდს დართული ექნება ავტორის სურათი, ფაქსიმილე და კრიტიკული განხილვა.

წიგნი გამოიცემა ავტორის ხელმძღვანელობით სუფთად და ლამაზათ.

ხელის მოწერა მიიღება ბბ-ნ თ. მთავრიშვილის, კ. ოცხელის, „პროვინციის" წიგნის მაღაზიებში და კერძო აგენტებთან.

ფასი ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.

მიწერ-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შემდეგის მისამართით; ქუთაისი, კათოლიკეთა ქუჩა, სახლი ხოჯევანოვისა.

გამომცემელი ია. ცინცაძე.

## ქ. ქუთაისში
ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
## საბუღალტერო კურსები
## გ. გ. გიგინეიშვილისა

15 იანვრიდან იხსნება მეორე პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერ გამოცდას შემდეგ რუსულსა და არითმეტიკაში. კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მანეთი. თხოვნები მიიღება ყოველდღე კურსების კანცელარიაში.

## ალ. ჭიჭინაძისაგან შედგენილი წიგნები:

1. „მცენარები და ცხოველები ცხელი ქვეყნისა" და 2. „პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა"—

სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან ნება დართულია მოსწავლეების და მასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის.

წიგნები იყიდება თ. მთავრიშვილის. და ამხ. მაღაზიაში.

**ექიმი** დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშვების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნი-

**ექიმი** ქ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის

## ქუთაისი
## პირველი კერძო სამკურნალო
### სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

**დილით.**

| | |
|---|---|
| გ. ა. აშიანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. . . | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშვის . . . . . . | 10—12 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, სავებით . . . . | 11—12 |
| მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . | 12—2 |
| გ. ა. ჭოლოშვილი—სავებ., ქალთა და შინაგ. . . . . | 12[1/2] 2 |

**საღამოთ.**

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის . . . . . . . . | 4[1/2]—5[1/2] |
| გ. ა. ჭოლოშვილი—სავებით, ქალთა და შინაგ. . . . . | 5[1/2]—6[1/2] |

სამკურნალოსთან მოწყობილია საექ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა.

ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოლოშვილი. წ.

**ექიმი** ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

**ექიმი** გ. ა. მეიფარიანი. ღებულობს შინაგანი ბავშვებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ, და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

**იყიდება** კახიანოურში რკინის გზის გადასავალთან ორსართულიანი ქვიტკირის სახლი, დაგირავებული ბანკში, ღვინის სარდაფით, სარაიათი და ბაღით, ზომით 400 კვ. საჟ. პირობებს გაგება შეიძლება ტ. მ. კნუნთან, თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.


## სახელმწიფო სათათბირო.

**26 ნოემბრის სხდომა.**

სხდომას **როძიანკო** თავჯდომარეობს. მსჯელობენ ქალაქებში უძრავ ქონებაზე გადასახადების დადების შესახებ. ფინანსის მინისტრის ამხანაგი **ბაკრილევსკი** უერთდება მომხსენებლის აზრს. **ანტონოვი** აღნიშნავს პროექტის დიდ მნიშვნელობას და სურვილს გამოსთქვამს, პროექტი რაც შეიძლება დაჩქარებით იქნას განხილული. ორატორი თხოულობს, რომ პროექტი ფინანსიურ კომისიას გადაეცეს. **მარკოვ** მეორეს ვერ გაუგია თუ რა შინაარსისა ანტონოვის წინადადება. კომისია არ არსებობს და თხოულობს, პროექტი კომისიას გადავცეთო. პროექტი მიიღეს 144 ხმით წინაამდეგ 26.

შემდეგ მსჯელობენ სასოფლო-სამეურნეო შკოლის მასწავლებელთა ჯამაგირის მომატებაზე. ამას შემდეგ იხილვენ 30 დეპუტატის შეკითხვას კავკასიის მეფის მოადგილის მიმართ შესახებ იმისა, თუ რა ზომების მიღებას აპირებს ის დამშეულთა დასახმარებლათ. **ბურიანოვი** ამბობს: ძნელი სათქმელია თუ სად უფრო იმშევა ხალხი კავკასიაში, ციმბირში, ცენტრალურ რუსეთში, თუ დასავლეთ

მრავალია. ლაპარაკობს **მანკოვი** და მოყავს ხალხის დამშევის შესახებ სტატისტიკური ცნობები. დეპუტატი პაპაჯანოვი შეკითხვას მხარს უჭერს.

**გელოვანი:** ბ. ბ. სათათბიროს წევრნო. როდესაც თქვენში, ცენტრალურ გუბერნიებში ხალხს ეს უბედურობა—შიმშილობა ეწვევა, მაშინ თქვენ გაქვთ საშვალება ამ უბედურობასთან შებრძოლებისა, თქვენ გაქვთ ერობა, საერობო ორგანიზაციები. ასე რომ ამ უბედურობას ცენტრალურ გუბერნიებში არ შეუძლია დამღუპველი სახე მიიღოს. ამ მხრით კი ჩვენში, კავკასიაში სულ სხვანაირათ არის საქმე. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ ერობას მოკლებული ვართ. კავკასიის მეფის მოადგილის დაპირებით ერობის ბოძების იმედით ხშირათ ვბედნიერდებით. მეფის მოადგილე ხშირათ აღიარებს, რომ მას საჭიროთ მიაჩნია კავკასიას ერობა უბოძოს. დაპირება დაპირებათ რჩება და დამშეულ ხალხზე მზრუნველობა მთავრობის ხელშია. თუ როგორ ზრუნავს მთავრობა დამშეულ გლეხთათვის, ამას გაიგებდით იმ შეკითხვიდან, რომელიც მე შემოვიტანე ქუთაისის გუბერნიაში გადასახადების უკანონოთ ალების შესახებ. და ქუთაისის გუბერნიაში ეს დამშეული გლეხობა ნაცვლათ იმისა, რომ თავის საშვალებით ლუკმა პური შეიძინოს და მით მომავალ მოსავლამდი თავი გაიტანოს, იძულებული ხდება ასიათასობით სხვადასხვა უკანონო ჯარიმები გადაიხადოს. ჯარიმების გადახდის გამო გლეხობა სიმიდის შეძენის საშვალებას მოკლებულია. ქუთაისის გუბერნატორმა თავის დასკვნა გაუგზავნა კავკასიის მეფის მოადგილის საბჭოს და აღიარა, რომ ქუთაისის გუბერნიაში შიმშილობა არ არის და ადგილობრივ გლეხობას შეუძლია მთავრობის დაუხმარებლათაც გაიტანოს თავი. საჭირო გახდა ჩემი თფილისში ჩასვლა და მეფის მოადგილის საბჭოსთვის უტყუარი ცნობების წარდგენა, რომ საბჭოს თავის აზრი შეეცვალა და ხალხის დამშევა უტყუარ ფაქტათ ეცნო და რომ საჭიროა მის წინაამდეგ რაიმე ზომების მიღება. ეს იყო ერთი თვის წინათ და ამ ერთი თვის განმავლობაში ვკითხულობ გაზეთში

ადგ ლემ ხალხის დახმარების საქმეში ნაბიჯი გადადგა. ადგილობრივ გაზეთში ვკითხულობთ ოფიციალურ ცნობას, რომ მეფის მოადგილემ მოწერა ქუთაისის გუბერნატორს აცნობე მაზრის უფროსებს მოახდინონ სწრაფი განკარგულება, შეყარონ ყრილობა და გამოუცხადონ ხალხს, რომ მთავრობა აძლევს მათ სესხს სასურსათო თანხიდან, მხოლოდ იმ პირობით, რომ გლეხისაგან ორი წლის შემდეგ ეს სესხი აიღოს ადგილობრივმა მთავრობამ. როგორც ხედავთ ბ.ბ., მეფის მოადგილემ საჭიროთ და შესაძლებლათაც აღიარა ის წესი დახმარებისა, რომელიც დაგმობილია ცენტრალურ რუსეთის გუბერნიებში. დიდიხანია ურთიერთ თავდებობის წესით სესხის აღება თქვენში გააუქმეს, ვინაიდან როგორც თქვენ, ისე მთავრობა, მცხოვრებლები და საზოგადოება გასესხებული ფულის ამ სახით აღებას შეუწყნარებლათ სცნობდით და ითხოვდით მის გაუქმებას. თქვენში გასესხებული ფულის აღების ეს წესი უკვე გააუქმეს. იბადება კითხვა—რისთვისაა საჭირო ის კავკასიისა და კერძოთ დასავლეთ საქართველოსათვის, რაც თქვენ აღიარეთ უსარგებლოთ და არა სასურველათ და რაშიც მთავრობაც დაგეთანხმათ. ყველა ის ცნობა, რომელიც თქვენ აქ გაიგონეთ სრული სინამდვილეა. მე უნდა გითხრათ, რომ კერძოთ სულ დავიარე ქუთაისის გუბერნია და შემიძლია, რაც ვნახე, იმის მიხედვით ვსთქვა, რომ ვერ ნახავთ ისეთ ადგილს, სადაც ხალხს საშვალება ქონდეს სამი თვითაც კი თავი გამოიკვებოს. დახმარება აუცილებლათ საჭიროა და ამ მხრით მთავრობის მიმართ ამ შეკითხვას მხარს ვუჭერ. ვერ დავმალავ იმასაც, რომ კავკასიის მეფის მოადგილის მიმართ შეკითხვა ძალიან ცოტათ აღწევს მიზანს და ამიტომაც ამ შეკითხვას სკეპტიკური თვალით ვუყურებ. თქვენ თვითონ დაინახეთ ბ.ბ., რომ მეოთხე სათათბიროს პირველი სესიის დროს სათათბირო დამეთანხმა კავკასიის მეფის მოადგილეს შევკითხებოდი იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია მის მიერ დაპირებულ რეფორმათა განხორციელების საქმე. ალბათ კავკასიის მეფის მოადგილეს შეკითხვა უქმ შეკითხვათ და სათათბიროს უბრალო ცნობისმოყვარეობათ მიაჩნია, ვინაიდან თქვენ მიერ რვა დეკემბერს მიცემული კითხვა დღემდის უპასუხოთაა დარჩენილი. ცარიელი სიტყვებით გპირდებიან რეფორმებს, ხოლო საქმით როგორც ხედავთ არც არაფერს გატყობინებენ და არც არაფერს აკეთებენ. სათათბიროს მიერ შეკითხვების ამგვარათ მოპყრობას შემდეგ, ვფიქრობ, წინანდელ შეკითხვებზე უკეთესი ბედი არც ამ შეკითხვას ეწევა. ყოველშემთხვევაში მას მხარს ვუჭერ. (ტაშისცემა მარცხნით)

თავმჯდომარე მსჯელობას დასრულებულათ აცხადებს, კენჭის ყრით შეკითხვას ერთხმათ ღებულობენ.

## დეპეში.

**ლანჩხუთი** (გურია). **გადაიცვალა დამსახურებული პედაგოგი ავთანდილ ოსმლიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ამბავი.

გუშინ ბაგრატის ტაძრის გალავანში მიწას მიაბარეს განსვენებული სიმონ ღოღობერიძის ცხედარი. გასვენებას მრავალი ხალხი დაესწრო, უმეტეს ნაწილად ქართველი ინტელიგენცია.

✦ ს. ა, მაჭავარიანმა წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას 15 მანეთი შესწირა ს. ღოღობერიძის ხსოვნის პატივსაცემლათ.

✦ დროებით ქუთაისში მცხოვრები კარპეზ ზაქარიაძე ამ 16 დღის წინათ ქუთაისიდან სადღაც წასულა. წასვლისას მას უთქვამს, რომ სოფ. გულიაკარში მამასთან მივდივარო, მაგრამ როგორც ამოჩნდა მამასთან იგი არ ყოფილა. მის ძმას, რომელიც გომში ცხოვრობს, უთქვამს რომ ორი კვირის წინათ ჩემთან იყო და წავიდა, მას აქეთ არ მინახავსო. ამ ხნის განმავლობაში ძებნიან, მაგრამ ვერ უნახავთ. იგი 28 წლისაა, ქერა საშვალო ტანის.

✦ ადესიდან ვინმე რუდოლფ გუტერმანი ქალაქის გამგეობას ატყობინებს, რომ საზღვარგარეთ არსებობს კაპიტალისტთა ჯგუფი, რომელიც ქალაქის სანიტარული და ჰიგიენური მხრით მოწყობის საქმეს კისრულობს. მისი წინადადებით ხსენებული ჯგუფი თანახმა იქნება ნისიათ გძელი ვადით ქალაქს კანალიზაცია, წყალსადენი, ჰიგიანური სასალოხოები და სხ. მოაწყოს. გუტერმანი თხოვს შეატყობიონ მას, თუ რა უფრო ესაჭიროება ამჟამათ ქალაქს.

✦ შავიქვის საბჭოს მორიგი კრება ექნება 30 დეკემბერს,

✦ 23 დეკემბერს ქალაქის საბჭომ მოისმინა ქალაქის გამგეობის მოხსენება საპოლიციო შტატის რეორგანიზაციის შესახებ და შემდეგი დაადგინა:—აღძრული იქნეს შუამდგომლობა მეფის მოადგილის წინაშე, რომ ნება მიეცეს ქალაქის გამგეობას ახლანდელი საპოლიციო შტატი 1 იანვრიდან გადიდებული იქნეს. უფროს პოლიციელთ დაენიშნოს წლიურათ 300 მანეთი და უნცროსთ—240 მანეთი, გამგეობა არ დაავალდებულონ საპოლიციო დარაჯებზე დახარჯოს მეტი იმაზე, რასაც აქამდი ხარჯავდა და პოლიციელთა შესანსხათ, შესაიარაღებელი ფული კანონისამებრ ნახევარი ხაზინამ იხ დ ის.

✦ ხუთშაბათს, 26 დეკემბერს, აუარებელი ხალხის თანდასწრებით დაასაფლავეს ს. გუბის მეაფთიაქე ბესარიონ ჩომახიძე. როდესაც ცხედარი დაასვენე ორპირის გზაზედ, სადაც იყოფა გზა და ერთი მიდის „ოლახურის“ სასაფლაოსაკენ, გუბის საზოგადოების მხრით მოკლე სიტყვით მიმართა ცხედარს გუბის შკოლის მასწავლებელმა, რომელმაც აღნიშნა განსვენებულის სამსახური გუბის კულტურულ დაწესებულებებში.

ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ლადო ბზვანელმა, რომლითაც გააცნო დამსწრე საზოგადოებას განსვენებულის ყოველგვარი მოღვაწეობა 20 წლის განმავლობაში.

✦ როგორც გავიგეთ ქუთაისის რკინის გზის სადგურის მთავრობას განზრახვა აქვს მომავალ ახალ წლიდან სადგურის მახლობლათ მაგარი სასმელებით მოვაჭრე დუქნები დახუროს; ბათომის სადგურის მთავრობას კიდევაც მოუხთენია ამის შესახებ განკარგულება და სასმელების მოვაჭრეთათვის ნებართვა აღარ მიუცია.

✦ შობის პირველ დღეს, ღამე,10 11 საათზე ქუთაისში ბილხხვანისა და თფილისის ქუჩებზე დიდი მუშტ-კვრიობა იყო; არ სჩანდენ პოლიციის დარაჯები.

✦ კავკასიის ჯარის მეორე კორპუსის უფროსი ინვანტერიის გენერალი მიშლაევსკი მეფის მოადგილის სამხედრო თანაშემწეთ დაინიშნა.

✦ საქართველოს ეგზარხოსის ალექსის მიერ წაკითხულ ლექციაზე შემოსული 1,300 მანეთი თფილისის ღარიბეს მცხოვრებთ დაურიგდება.

✦ ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობამ მეფის მოადგილის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ქალაქის თვითმართველობა განთავისუფლებული იქნეს საპოლიციო ხარჯებიდან.

✦ 26 დეკემბერს ავიატორ ქებურიას ბათომში უფრენია; ფრენის დროს მანქანას მატორი გაფუჭებია და ქებურია მანქანითურთ ზღვაში ჩავარდნილა. ქებურიასთვის დროზე მიუსწრიათ და გადაურჩენიათ. რამდენიმე ხნის შემდეგ მანქანაც ამოუღიათ წყლიდან.

✦ წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ დაადგინა სამეურნეო ცოდნის გამავრცელებელი სტიპენდია დაარსოს 1914 წლის 1 იანვრიდან. სტიპენდიატს ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება ამოირჩევს.

# † სიმონ ღოღობერიძე.

სიმონ ღოღობერიძე მესამოცე წლების ერთი ღირსეული მოღვაწეთაგანი იყო. უმთავრესათ პედაგოგიურ ასპარეზზე იღვწოდა.

იმ საშინელ დროს, როდესაც დიმიტრი ტოლსტოის სულის შემხუთველი მეთოდი მეფობდა, სხვათა შორის ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაშიც, მარტო სიმონ (სისო) ღოღობერიძე იდგა ცალკე და არ დამორჩილებია ხსენებულ სისტემას. მაშინ, როდესაც სიმკაცრე, გულქვაობა, ღირსებათ ეთვლებოდა პედაგოგს, როდესაც აღზდის რისხვა, დატუქსვა, შეშინება ედვა საფუძვლათ და მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის დამოკიდებულება მეტად მწვავე და აღშფოთებული იყო, მხოლოდ სისოს არ უარუყვია ჩვეულებრივი გულკეთილობა.

მისი გული სიყვარულით გვათბობდა და ზნეობრივი კავშირით იყო გადაბმული ჩვენს გულთან. და მის მადლიერ მოსწავლეთ არაოდეს არ დაგვავიწყდება მისი ამაგი.

ამასთანავე დიდი და მრავალმხრივი ცოდნა ქონდა. მახსოვს, ერთხელ საქართველოს ისტორიის შესახებ წაგვიკითხა ლექცია. ღრმა დაკვირვებისა და მეცნიერული ანალიზის ნიჭი გამოიჩინა. მას შესწავლილი ქონდა ყველა ძველი დიდი ისტორიკოსი.

და ქართული ისტორიის წინაშეც არა მცირედი ღვაწლი მიუძღვის: მისი მშვენიერი თარგმანი ბროსეს ისტორიისა განძია ქართული ლიტერატურისათვის.

მხურვალე პატრიოტი იყო და დიდი ხალისით უგდებდა ყურსა და ადევნებდა თვალს ქართული ცხოვრების თითოეულ მაჯის ცემას: არცერთი ღირსშესანიშნავი საზოგადო მოვლენა არ გამოეპარებოდა ხოლმე.

წყნარი, ჩუმი, თავდაბალი მუშაკი იყო. ამისთანა კაცს მხოლოდ სიკვდილს შემდეგ აფასებს საზოგადოება.

და მისი ჩუმი მუშაობა და კეთილშობილი სულისკვეთება სიკვდილის დროსაც კი აღუნიშნავი დარჩა.

მაგრამ კეთილი საქმე არ დაიკარგება. მის მიერ დატოვებული კვალი წარუშლელი დარჩება. და საუკუნო იქნება ხსენება მისი.

გასიდ წერეთელი.

## ადესის ინცინდენტის გამო.

ადესის ქართველ სტუდენტთა სათვისტომომ ერთხმათ დაადგინა გულისწყრომა და პროტესტი გამოეცხადოს სტუდ. მიხ. კვინიხიძეს დასაგმობი საქციელისთვის.

გულითადი თანაგრძნობა შეურაცხყოფილ ამხანაგებს!

რადგან მიხ. კვინიხიძემ შეინანია თავის საქციელი, ბოდიშს იხდის შეურაცხყოფილ ამხანაგებსა, სათვისტომოსა და საზოგადოების წინაშე, მხედველობაში მივიღეთ მისი წასული ცხოვრება გიმნაზიაში, აქ და გადავწყვიტეთ—სათვისტომოდან არ გავაძევოთ მწუხარებას გამოვთქვამთ, რომ ამ სტუდენტის შეუფერებელი საქციელი ჩვენშორის მოხდა, რასაც თვით მიხ. კვინიხიძეც იზარებს.

სათვისტომოს გამგეობის წევრნი: კლდიაშვ. ტუშმალაძე, პეტ. ქავთარაძე, გრ. გეგეჭკორი შვილი, შ. იშხნელი, დ. მგელაძე.

P. S. ამ ინციდენტში წამქეზებლობა და ერთგვარი დანაშაული სტ. მიხ. იაშვილსაც ბრალდებოდა. გამგეობა ყოველი გარემოების განხილვას შემდეგ, არწმუნებს საზოგადოებას, რომ სტუდ. მიხ. იაშვილს ბრალი შეცდომით დაედვა და ყველაფერში უდანაშაულოა.

სათვისტომოს გამგეობა.

# დღიური.

ბულგარეთში რადისლავოვმა ყველა პარტიის წარმომადგენლებთან მოლაპარაკება გამართა.

— ვალონაში საალყო წესები შემოიღეს.

— საბერძნეთში დეპუტატთა პალატის სხდომები დღესასწაულობის გამო შეწყდა და ვენიზილოსი რომს წავიდა.

— ოსმალეთში 280 ოფიცერი დაითხოვეს.

— საბერძნეთი სამხედრო ფლოტს აძლიერებს.

— იაპონიაში იძნუს მახლობლათ გემი დაიძირა და 115 კაცი დაიღუპა.

— ქაირის ციხეში 1300 კაცი აჯანყდა.

— პაუნკარე 1914 წ. ზაფხულში რუსეთში მოდის.

## ღია ბარათი.

ადესის ქართულ სათვისტომოს.

ვგრძნობ—ჩემი საქციელი მეტათ ცუდი და მიუტოვებელია, მაგრამ მიუხედავათ ამისა, სრული იმედი მაქვს, ამხანაგები მაპატიებენ, რადგან თვით ვინანიებ ამ ჩემს უზნეო საქციელს...

პირველად ყოვლისა ბოდიშს ვიხდი ჩემგან შეურაცხყოფილი ამხანაგებისა და შემდეგ სათვისტომოსა და მთელი საზოგადოების წინაშე.

სტუდ. მიხეილ კვინიხიძე.

# კვირიკე.

მშვიდობით!

წინ წყალი და უკან მეწყერი!

შე წამხდარო, შე გაფუჭებულო!

კაი, მოუვიდა შენს თავს, კაი შვილი შენ იყავი!

არა, გლახა ძალლივით გული კი მომეცა ამ მიწურულში. სამშვიდობოში ვიგრძენი თითქოს თავი და ლანძღვით ვისტუმრებ ძველს, ჩახჩუებულს, გამოტვინებულს და ახალს მინდა გავაგონო, ეგებ, ეცადოს, კაი რამე მომიტანოს, რომ გამოთხოვებისას მასაც ასე არ გაუმასპინძლდე.

ახალო! კარგათ იცოდე—ტკბილეულით შეგხვდები, გულ ღია. სუფრა-გაშლილი, უხვი მასპინძელი, მოგივლი, გჩირჩნი და გზდი... თუ არაფერი გამივიდა, სიკოცხლე მაქვს, მოგაწყევლო და მოგაკრულო. გახსოვდეს ეს კარგათ.

იყავი მორჩილი ჩემი და გამგონე, რაცა გთხოვო. არა, მორჩილებას ვინ გთხოვს, ამისრულე, რაც მოვიწადინო.

არ იფიქრო, მისთანა რამე გთხოვო, შესრულება ვერ მოახერხო,

ჭირვეული და განებიერებული არავარ, ღმერთი რჯული.

არ იფიქრო, სათქმელათ დაგჭირდეს: —„ურჩი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა.“

ჩემი ურჩობა ვის გაუგონია!

არც ზაკონის კანონსა‘‘ და არც ,,პალოჟენიას‘‘ არ გადავცილდები, მარა, რავქნა, რო მამაშენს, ბაბუაშენსა და შენს წინაპრებს სულ სხვანაირათ ესმოდათ ყველა ეს და შენც თუ ასე მიყევი, ჩვენი ერთად ცხოვრება შხამი იქნება და ძიმწარე.

მერე რატომ, რისთვის?! კაფენტებით რო გეგებები, ეს სულ არ უნდა დაათასო, და სულ უნდა გაათასო ჩემი ღია გული, ხელ იაფობა.

მიგიკრავ მკერდზე, ჩაგიხუტებ, მოგეფერები და თუ არაფერი გამივა, გამოთხოვებისას ერთს მისთანას დაგეძგერები და შეგიკურთხებ, რომ...

ძველო! წინ წყალი, უკან მეწყერი!

ახალო! მოდი, შენ გეხუნტულე, გენაცვალე...

შენ იცი და შენმა ბიჭობამ...

ჭვირიკე.

## მოუსავლიობისაგან დაზარალებულთა დასმარება.

ამ სათაურით „რუსკოე სლოვოს‘‘ 22 დეკემბრის ნუმერში დაბეჭდილია შემდეგი ცნობა. გუშინ პირგოვის საზო-

# ფიქრები სამშობლო ლიტერატურაზე.

17

ახალი გზა ჩვენს პოეზიაში.

დასასრული, იხ. „ერი“ № 46.

ამგვარ გამოფხიზლების სიმპტომებს ქართულ თანამედროვე პოეზიაშიც ვხედავთ და ეს მოტივი ამ ხანათ სულ ახლათ უნდა ჩაითვალოს.

მართალია, ზოგი ჩვენი ახალგაზდა მგოსნები თავიდანვე თვის დევნილ სამშობლოს უმღერდენ, მაგრამ ეს სიმღერა მკრთალი და ჩუმი იყო, თითქოს ეშინოდათ, თითქოს გრძნობდენ, რომ მათ წინ სდგას სოციალური უკუღმართობის სურათი და მხოლოდ ეს უკანასკნელი უნდა იქცეს შემოქმედების ობიექტათ.

შეორეც კიდევ ისა, რომ ამ თითო ოროლა მწერალთა შემოქმედებაში არავითარი აქტიობა არ სჩანდა, უკეთ რო ვსთქვათ, ეს იყო უვნებო ჭვრეტა დიად წარსულისა, რომლის ხატება თითქოს სამუდამოთ ჩასვენებულიყო.

აქ სევდასა და მოთქმას შეეპყრო მგოსნები და იმედის ნაპერწკალი, რომელიც აქტიობის წარმომდენი ძალაა, მუდამ აკლდათ მათ.

***

ამ ეროვნული პრობლემის გადაჭრიდან ისინი მეტათ შორს იდგენ და მარტო ფრფიალი მის მშვენებისადმი ამოძრავებდა მათ პოეზიას. მთელი ეს შემოქმედება თვისი არა აქტიობის გამო, მტანჯავი და პესიმისტური იყო.

სოციალურ მოტივებს, პირიქით, უფრო მეტის ხალისით ეკიდებოდენ ისინი და აქ მათთვის პრობლემა უკვე გადაჭრილი იყო დადებითად, ამიტომ აქ ტრაგიულ დასაწყისს ნიადაგი არ ქონდა და იმედიანობაც აქტიობას წარმოშობდა.

აქ არ ჩნდა უბრალო ტრფიალება მომავალ ეკონომიურ თანასწორობისადმი, არამედ უფრო მეტათ ძახილი, ბრძოლისაკენ გამოწვევა, განსაზღვრულ მოქმედებისაკენ მიმართვა ჩნდა.

მაშასადამე, თვით შემოქმედება აქტიური იყო და ოპტიმისტური; თუმცა, როგორც წელან აღვნიშნეთ, მშრალი და პროგრამული.

განვლო დრომ და ეროვნული იდეალები განმტკიცდა ერში, მისი ნიადაგი უფრო მკვიდრი შეიქნა, მან რეალური ძალა აამეტყველა, აამუშავა.

***

აქ ჩნდება მეორე დარგის ახალგაზრდა პოეტები, რომელთაც სამშობლოს ბედი ენათესავებათ და რომელნიც გატაცებით ეგებებიან მის მომავალს.

მათ სწამთ ეს მომავალი და ისინიც აქტიურნი არიან, ბრძოლის ცეცხლი გუზგუზებს მათ გულში, იმედი, ღვივის და პესიმიზმს ნიადაგი ეცლება.

რასაკვირველია, აქაც ტენდენცია და სიმეტრიულობა აშკარათ სჩანს, მაგრამ, როგორც ავნიშნეთ, ასეთ მწვავე პოლიტიკურ მომენტში იგი თითქოს აუცილებელია და მისი უცილობაც ბუნებრივია.

რაც უნდა იყოს, ეს ახალი მხარეა ჩვენის პოეზიისა, მისი ახალი სიტყვა, რომელიც ინდივიდუალობის, ეროვნული „მე“-ს საკითხს უახლოვდება და, ცხადია მის განმტკიცებას პატარა რენესსანსიც მოყვება.

ჩვენ იმედით ვუცქერით მას, რადგან ეს არის პოეზიის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ტენდენცია.

მწერლობა თავს აღწევს ვიწრო ფარგლებს და მრავალგვარობათა პრობლემაში გადადის, რომ შემდეგ მის დღეის სახესაც თავი დააღწიოს და ასე ისწრაფოს მარადისობის და თავისუფლების პრინციპებისადმი.

***

სამწუხაროთ, დრო ნებას არ მაძლევს შევჩერდე ამ ახალი მოტივის მთავარ მომენტებზე და მის წარმომადგენელ მწერალთა დახასიათებაზე, ხოლო ის კი უნდა აინიშნოს, რომ ნათელი, გარკვეული იდეა იშლება მათ წინაშე და თავსამტვრევი საკითხი პოეზიაშიც უკვე გადაწყვეტილია დღეს.

საჭიროა ქართველი ხალხის გამოფხიზლება და მედგარი ბრძოლა თავის თავის დასაცავათ, ქართველთა კულტურული მუშაობა სამშობლო ნიადაგზე და სასტიკი ბრძოლა გადაგვარების წინაამდეგ. „ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეკუთნოდეს“... აი, მრწამსი რასაც ემსახურება ამ ჯგუფის მწერლობა და ეს მოტივიც წითელ ზოლათ გადის მათ შემოქმედებაში. ჯერ კიდევ აშკარათ არ ამეტყველებულა ჩვენი ერი, ჯერ კიდევ არ დაწყებულა ბრძოლა განახლებისთვის და ეს პოეტები კი იმედიან სურათს გვიხატვენ ამ მომავალისას.

***

აშკარაა, ეროვნულ განახლებისათვის ბრძოლა უფრო უხვ მასალას მისცემს ამ მწერლებს, როცა იგი ბრძოლა აშკარათ გაიშლება:

საფრანგეთის ეროვნულმა მოძრაობამ, რევოლიუციამ ლიტერატურა სალონებიდან ხალხში გაიტანა და მისი დემოკრატიზაციის ეპოქაც დადგა. მწერლობა, მეცნიერება, ფილოსოფია ამ ხანებში გაიფურჩქნა და განვითარდა.

გერმანიის ეროვნულმა ბრძოლამ ნაპოლეონის გეგმონიის წინაამდეგ, წარმოშვა მთელი ჯგუფი ნიჭიერ მწერალთა და ხელოვნებაც გაამდიდრა მისდამი უალრესმა სიმპატიამ დააწერინა ნეკერის ქალიშვილს, ცნობილ სტალს შესანიშნავი შრომა—„გერმანიის შესახებ.“

საბერძნეთის ეროვნულმა მოძრაობამ არა მარტო თავის ქვეყანაში გაშალა მწერლობა, არამედ ევროპის მწერლობაში წარმოადინა ახალი მიმართულება: „ფილელინიზმი‘‘.

საუკეთესო ევროპის მკვლევარნი და მწერალნი ამ ხანებში საბერძნეთით დაინტერესდენ და მისი ვითარების აწერაგამოკვლევას შეუდგენ. ასე იქცეოდენ: პუკვილი, ფორიელი, ლამარტინი, ჰიუგო, კინე და სხვ. მრავალნი.

***

კიდევ ვიმეორებ, რომ ამა თუ იმ სახის ბრძოლის იარაღათ ქცევა ხელოვნებისა, რაც უნდა კეთილშობილი იყოს ეს ბრძოლა, მომაკვდინებელია და წარმავალი, ხელოვნების ობსოლიუტური მიზანი, ამ წარმავალ საზოგადოებრივ ფორმების გადაღმა იშლება, მაგრამ ზოგიერთ მომენტში ასეთი სამსახური პოეზიისა ბუნებრივი ხდება; თუმცა წმინდა ხელოვნებას თვისი შემოქმედი ძალა აკლდება, მაგრამ სადღეისო საქმეს იგი სამსახურს უწევს და დიად მომავალს ემსახურება. ჩვენ ვნუგეშობთ იმით, რომ ეს ხანა გადივლის, პოეზიაც თავის გზას დაადგება და გათავისუფლებული გასწევს წინ ტიტიანური ნაბიჯით.

ახლა ორი სიტყვაც ზოგ ახალ მწერლებზე, რომელთაც აღნიშნულ მიმდინარეობას სახვენ ჩვენს პოეზიაში.

***

როგორღაც შევეჩვიეთ, როცა ახალ მწერლებზე ვლაპარაკობთ, უეჭველათ ალ. შანშიაშვილი უნდა მოვიხსენიოთ. საამისო საბუთიცა გვაქვს, რადგან მთავარი მომენტები დღეის პოეზიისა სხვებზე უფრო ლამაზათ და ღრმათ მას აღუნიშნავს.

ეროვნული მოტივი შანშიაშვილის პოეზიის ძირითადი მოტივია. მთავარი მიზეზი მგოსნის ჩაფიქრებისა და მისი შეუშრობელ ცრემლებისა სამშობლო ქვეყნის დარბევის სურათის ხილვაა.

მას არ შეუძლია გულგრილათ უცქეროს პატივ აყრილ ერს, რომელსაც ერთხელ ასეთი მდიდარი სული და ძლიერი ნება ახასიათებდა და ისიც მწარეთ დაყრუთ დისტირის სამშობლოს.

ამ სევდაში პოეტი ერთგვარ ნათესაურ გრძნობას განიცდის თავის სამშობლოსადმი, რადგან იცის ის სამშობლოც ბედშავია, ჩაგრული და ჩუმათ მტირალი.

ამიტომ სევდა პოეტისათვის მტანჯავიც არის და თან სასურველიც, რომ ამით მაინც განიზიაროს საქართველოს წამება.

ტყუილათ გვინდა მოვისმინოთ სამხიარულო ხმები მისგან; იგი ამაზე მოგვიგებს:

„ვერ მოგასმინოთ ჩემმა ბაგებ სამხიარულო,
როს ხედივს თვალი მამულს რღვეულს და დაობლებულს
რა არის ჩემთვის სიხარული, როს როს დედა სტირის
და დათალხულსა წამით შვება არ ეკარება?
და უთქვამს ჩემთვის ჩემსავ სულსა: არ მემღერება
მე, ივერიელს, მშობელ ქვეყნის ამ დღეში მნახველს“..

ასეთ სევდას და ვარამს პოეტი არ გაურბის, მას სწყურია თავის სამშობლო მწარე ბედით თვითონაც იტანჯებოდეს და ცრემლად დნებოდეს და ისიც დასძენს:

„დე, მთიცვას სული სევდამ და მწუხარებამ“-ო.

ი. ევდოშვილის პოეზიაში კი ეს მოტივი უფრო მეტის სიაშკარით გამოსჭვივის; ის აქ მოშორებულია ბუნდოვანობას და გაურკვევლობას... კიდევ მეტი: ხანდახან ეს საერთო ეროვნული იდეა მის შემოქმედებაში მრავალ კონკრეტულ კითხვებათ ირღვევა და პრაქტიკულ მხარესაც ეხება ამ საკითხისას; აქ რათქმა

გადოების საქმიო და სასურსათო კომისიას მოუსავლობისაგან დაზარალებულთა დახმარების შესახებ კრება ქონდა: გამოაქვეყნეს რამდენიმე ცნობა დამშეულ ადგილებიდან მიღებული. კ. შიდლოვსკიმ ვოლინის გუბერნიაში მოუსავლობის რაოდენობა აღნიშნა. შემდეგ დ. კზანკოვმა გამოაქვეყნა ცნობები ქუთაისის გუბერნიაში მოუსავლობის შესახებ. ეს ცნობები ებანკოვს სათათბიროს დეპუტატის ვ. გელოვანისაგან მიუღია. იქ მოუსავლობისაგან განსაკუთრებით სამი მაზრა დაზარალებულა. კომისიამ გადასწყვიდა ქუთაისის გუბერნიაში დაუყოვნებლივ გაგზავნოს სააქიმო და სასურსათო რაზმი. რაზმის განკარგულებაში პირველ ხანათ სამი ათასი მანეთი იქნება. მოისმინეს ჩოხატაურის გლეხთა ამხანაგობის თხოვნაც. გადაწყვიტეს შეეკითხონ ამხანაგობას, თუ რამდენია დახმარება საჭირო და რა სახით შეიძლებ დახმარების მიღება. ამ თავით ამხანაგობას ორასი მანეთი გაეგზავნა.

## შრომის სიმღერა.

შრომის შვილი შრომით ვცხოვრობ,
შრომით დამყავს ზღვაზე ნავი,
ჩემი ოფლი ამ ზღვას ერთვის,
შრომის ცრემლით დანაწვავი!

ზღვაი ღელავს, შფოთავს, ბორგავს,
გაშმაგებით მებრძვის მტრულად...
სურს მომტაცოს ჩემი ნავი
და დამაგდოს განწირულად,

სურს მომისპოს ნეტარება
და დამჯაბნოს შრომის შვილი,
რო ცხოვრება დამიბნელოს,
მომანიჭოს ძილი, ძილი...

მაგრამ ვერა! შრომით ვიბრძვი,
ნავიც გამყავს სანაპიროს...
ვერა, ზღვა ვერ ეღირსება—
დამჩაგროს და ამატიროს

ფ. ახვლედიანი.

## რუსეთი

**პიროგოვის დღე.** პიროგოვის საზოგადოებამ პიროგოვის დღის ანგარიშის შედგენა დაასრულა. საზოგადოებას განზრახვა აქვს მოსკოვში პიროგოვის სახელობაზე სახლი ააგოს. ამ მიზნით საზოგადოებამ მოაგროვა ჯერხანობით 78043 მანეთი პიროგოვის დღის მთელი შემოსავალი 90 ათასი მანეთამდი იქნება. ზოგიერთ გუბერნიებიდან ანგარიშები ჯერ არ მოსულა.

**ჭეშმარიტი კავშირის წევრები მუშებში.** პეტერბურგის ერთერთ ქარხანაში, სადაც ათასამდი მუშა მუშაობს, შედგა დუბროვინთა ჯგუფი. ქარხანაში ავრცელებენ შავრაზმულ პროკლამაციებს. დუბროვინები მოუწოდებენ მუშებს ჩაეწერონ ჭეშმარიტ რუსთა კავშირში.

**ბიუჯეტი.** საუწყებათაშორისო კომისიამ მომავალი წლის პირველი ოთხი თვის ხარჯთაღრიცხვის შედგენა დაასრულა. სამხედრო უწყებამ მოითხოვა ნორმის გარეშე 20 მილიონი მანეთი. სხვა უწყებებმაც მოითხოვეს დადგენილზე მეტი ფული. ასე რომ ხარჯი უდრის 1139 მილიონ მანეთს.

## უცხოეთი

**შიმშილობა იაპონიაში.** ჩრდილოეთ დასავლეთ იაპონიაში შიმშილობაა. ორი წლის მოუსავლობამ ხალხზე ძალიან ცუდათ იმოქმედა. ბევრი იხოცება, სიკვდილი გახშირდა. ტოკიოში ქალებს გასაყიდათ ასობით აგზავნიან. მშობლებს საშვალება არა აქვთ ბავშვების გამოკვებისა და ამიტომ ყიდიან.

**საბერძნეთის ფლოტის გაძლიერება.** საბერძნეთის მთავრობამ გადასწყვიტა აიღოს საფრანგეთიდან 230 მილიონი ფრანკის სესხი. ამ ფულის დიდი ნაწილი სამხედრო ფლოტის გაძლიერებას მოხმარდება. შეიძენენ რამდენიმე სამხედრო გემებს. სესხის შესახებ მოლაპარაკებას საფრანგეთთან კენიზელოსი აწარმოებს.

**ლოიდჯორჯის თათბირი.** ლოიდჯორჯის განცხადებამ გერმანიასთან შეთანხმების შესახებ საფრანგეთის პრესის გაცხარება გამოიწვია. ჯორჯის განცხადება ეხებოდა ფლოტის საქმეზე ხარჯის შემცირების შესახებ შეთანხმებას გაზეთებმა ჯორჯის წინააღმდეგ გაილაშქრეს. ჯორჯი ამჟამათ ალჟირშია.

## ბიბლიოგრაფია.

ზ. ჭიჭინაძე მცენარეები და ცხოველები ცხელი ქვეყნების (ა)

როდესაც ჩვენი ყმაწვილები გეოგრაფიას სწავლობენ, როდესაც კერძოთ ცხელ ქვეყნებს ეცნობიან ისინი უფრო მეხსიერებას ავარჯიშებენ, ვიდრე გონებას. ამ ჯვარ გეოგრაფიასა და ლათინურს შორის ძლიერ ცოტა განსხვავებაა. ამიტომ მეტათ სიმპატიური საქმისთვის მოუკიდია ზ. ჭიჭინაძეს ხელი, როდე-

## მოკვდეს ის ერი...

მოკვდეს ის ერი, რომელმაც მშობა
თვისებრ უმგზავსი, უხასიათო,
რომელმაც მომცა სიწმინდის გრძნობა,
გრძნობა საშიში და სახიფათო.
ან და მოუკვდეს ერს იგი შვილი,
რომელიც ურცხვათ არ პირმოთნეობს,
რომლისა ენაც გულგადაშლილი
სამართლიანის სიტყვითა მჟღერობს!
კვლავ ნუმცა ვინმე იბადებოდეს
ამ ქვეყანაზე კეთილის მთქმელი,
რომ ჩემებრ აღარ იმდურებოდეს:
ვიყავ სათნოო, ვარ სისხლის მსმელი!

ი. მჭედლიშვილი.

საც შკოლის მიშველება განუზრახავს და მოწაფეებს ისეთ წიგნს აწვდის, რომელიც იმდენათვე სასიამოვნო საკითხავია, რამდენათაც სასარგებლო, ასეთი წიგნების შემდეგ გეოგრაფის გაკვეთილები მოწაფეებისთვის შინაარსისაგან ცარიელი რამ და მხოლოდ უსიამოვნო მოვალეობა აღარ იქნება.

კარგი ქაღალდი, ლამაზი და შესაფერი სურათები, საზოგადოთ სუფთა, სადა წიგნი—ეტყობა რომ „ჯეჯილის" გამოცემაა. ეს გარემოება მასალაზედაც ემჩნევა. №.

## სვანეთის მიწა-წყლებზე.

იმერეთის დამშევამ და ამის გამო ჩვენი მოქირნახულეთა მიერ აცეხილმა განგაშმა, სურვილი ამიძრა ორიოდე სიტყვით ავნიშნო სვანეთს გაჭივრება უმიწა-წყლობის გამო. მოგეხსენებათ ზედასა და ქვედა სვანეთის ინგურისა და ცხენის წყლის ხეობები შეადგენენ.. ამ ჟამათ ზედა სვანეთზე მექნება ბაასი. უშკულიდან (პირველი სოფელია ზედა სვანეთისა ლატფარის განზე) ვიდრე სვანეთის უკანასკნელ სოფელ თოთანამდი რაც კი წყლები ჩამოდის აქეთ იქეთ ამართულ უზარმაზარი მთებ-დან, ყველა ერთ კალაპოტში იყრის თავს. ამ მდინარეს ინგური ეწოდება. ეგ ხეობა ერთობ ვიწროა... სიგანე (თუ სახნავ-სათესათ უვარგის მთებს არ მივათვლით) ერთი საჟენიდან დაწყებული ერთ ვერსს არ ასცილდება. ალაგ ისე ვიწროა ეგ ხეობა, რომ ორი კაცი ერთად ცხენით ვერ გაივლის, ალაგ გაიშლება. ლამაზ სანახაობას წარმოადგენს ინგურის ხეობა.. სწორეთ ასეთ ადგილებზეა ესა თუ ის სოფელი..სიგძე ზედა სვანეთს ასოცი (120) ვერსი აქვს.. მთელ ამ სივრცეზე გამწკრივებულია ყველა თერთმეტი საზოგადოება ზედა სვანეთია (უშკული, კალა, იფარი, მულახი, მესტია, ლენჯერი, ლატალი, ბეჩო, ეწერი ჩუბეხევი და ფარი) თითოეული საზოგადოება 4-7 სოფლებიდან შედგება, რომლების უმეტესობა მთის ძირშია გაშენებული, რომ სახნავ-სათესი მიწები არ მოიკავონ... სვანების სოფლები მოგაგონებენ პატარა ქუჩკიან ბაზარს... სახლები ერთი მეორეზეა მიშენებული... თითოეულ ოჯახში ამართულია უზარმაზარი სიმაღლის ციხე. სახნავ-სათესი მიწა ერთობ ცოტაა.. ამის გამო დესიატინა მიწის ფასი ათას, ათას ხუთას მანეთამდი ადის.. საკმარისია წარმოვიდგინოთ აქაური წარმოუდგენელი ფულის სიძვირე, რომ ადვილათ მივხვდეთ, რა მამასისხლათაც ფასდება აქ ერთი კვალი ადგილი... სვანები ყოველ წლიურათ ანოყიერებენ, ნაკლავენ მიწებს, რის გამო მოსავალიც კარგი იცის.. მაგრამ რა, რას, უშველის, ორი კვალი ადგილი- თუ იმოვა საჭმელი ერთ სვანს ოთხი-ხუთი იმერლის გასაძღომი საკვები არ ეყოფა ერთ ჭამაზე.. სამაგიეროთ აქლემივით ბევრის ჭამა შეუძლია და უჭმელათაც დიდხანს სძლებს საერთოდ სვანი ორ ინჯრას ჭამს.. თითოეულ ოჯახის წევრს თითო პურს გამოუცხობენ და პურის სიდიდეც ოჯახის სიმდიდრეზეა დამოკიდებული... ისე გემრიელათ იძურხნება სვანი ხმელ ქერის პურს, როგორც [illegible] შეჭამს, თუ კი [illegible] თუ არაყი [illegible] ბელი. ფუთი სვანური პური 3½-4 მანეთად ფასდება. ყოველ სვანს ოჯახში რამდენიმე ათეული თხა და ცხვარი ყავს; 3—12 მდი ძროხა. ყველი და რძე ბლომათ აქვს.. გაყიდვას არ არის დაჩვეული.. ამიტომ რძე ძვირია.. უნუგეშოა სვანების მდგომარეობა: უმიწა-წყლობა.. ფულის სიძვირე.. წარმოუდგენელი სარგებელი (160-70) გზების უქონლობა და სხვა ასეთები გულს უწყლავს სვანს, მაგრამ ის მაინც არ სცხრება,.. მაინც ფაცურობს... მთელს ზამთარს, რომელიც აქ 7-8 თვეს გრძელდება, თავის მშობელ კერას შორდება... მიდის სხვა კუთხეში სამუშევრათ დაბრუნებისას მოაქვს ფული, პური, ფართალი და ახარებს ოჯახს... არ უნდა, რომ შერცხვეს მეზობელთან... არ უნდა ვინმემ მის ოჯახს დამშეული უწოდოს.. მთელი წლის უნახავი რომ ყავდეს ოჯახობა. და გადაღმიდან მის გასახარებლათ დატვირთული მოვიდოდეს მაინც, თუ გზაში შეხვდა იმას, ვისიც სისხლი მართებს,—გადაყრის ყველაფერს, იძრობს თოფს. უსწორდება და გახარებული მორბის შინ-— „რა ამბავია?"..—სისხლი ავიღე!.. დაიკეტება მის ციხეში.. გადმოაყუდებს თოფის თავს და არ უშვებს გზაში მის მიერ მოკლულის ნათესავ-მოგვარებს.. შეიძლება მოხდეს შერიგება, მაშინ მოკლულის ჭირისუფალთა სასარგებლოთ სამი, ოთხი ათასი მანეთი უნდა გადაიხადოს, მისცემს მიწას, თხებს, ცხვრებს, ძროხებს...

გარდამ იმერელი.

ზედა სვანეთი.

## თეატრი და ხელოვნება.

პარასკევს, 27 ქრისტეშობისთვეს ადგილობრივ სცენისმოყვარეთ (?!) მსახიობის ბ. დ. ჩარკვიანის მონაწილეობით წარმოადგინეს „ქეთევან წამებული".

„ლალატის" პირველ წარმოდგენის დროს ერთი რეცენზენტი ამბობდა: —ნეტავი, დაბრმავებულიყავ, მეორე ფეხი მომტეხოდა და „ლალატის" წარმოდგენა

უნდა ავტორი აშკარა პროპაგანდას ეწევა და ტენდენციაც აშკარაა. მაგალითად ლექსში „გაზაფხული" (იხ. „სახ. გაზ.") იგი ამბობს:

„...ახლა კი-მის გულს, მინდორს მოქარგულს
ურცხვათ ყიდიან ყიზილბაშებზე.
ხნულს ფეხი გაკარ, იქ ძველი სისხლი
ბელტმა გულიდან ამოაწვეთა
სისხლი ვიცანი—იყო ქართვლისა,
მაგრამ მიწა-კი ახლა სულ სხვისა!"..

აქ აშკარათ ჩანს მარტივი აზრი პოეტისა მას ალაპარაკებს პატრიოტული, კეთილშობილი გრძნობა; მას უყვარს თვისი ერი და იცის, რომ ერის დასაცავათ საჭიროა ტერიტორიის შენარჩუნება, მამულის დაცვა დღეს კი საშინელ სურათს ხედავს ამ მამულის გაფლანგვისას.

ეს საკითხი დღეს მწვავე საკითხია, რადგან ქართველებს დღითი დღე გვეცლება ხელიდან ჩვენი მიწა-წყალი და ზედ უცხო ტომის ხალხი სახლდება. ჩვენს პუბლიცისტიკაში ამ საკითხს დიდი ადგილი აქვს დათმობილი და ევდოშვილმა იგი პოეზიაში გადაიტანა, რითაც უფრო ნათელყო მისი სიმწვავე.

***

სამშობლოსადმი სიყვარულს არა მარტო იდეური საფუძველი უძევს არამედ რეალური და, თუ გნებავთ, ფიზიკურიც. აქედან ცხადია ბუნებრივია განსაკუთრებული სიყვარული სამშობლო ქვეყნის ბუნებისა.

ჩვენი ბუნება მაინც განსაკუთრებულის სილამაზის და მშვენიერების მატარებელია, რაიც უცხოელთაც აუნიშნავთ და თუ სამშობლო გვიყვარს, მისი ბუნებაც უნდა შევიყვაროთ და, პირიქით თუ ბუნება გვიყვარს, გვიზიდავს, გვატკბობს, გვკვებს, მაშინ თვით სამშობლოც უნდა შევიყვაროთ, რომლის ერთი მხარეა ეს ბუნების შვენება. ბუნების საიდუმლო ხმები და მისი შვენების განცდა არა ერთხელ გადმოუცია ნიჭიერათ ზ. ახოსპირელს.

ამ ბუნებასთან ავტორი ორგანიულათ გადაბმულა და სავსებით განიცდის მისი განახლების ძალას. პოეტი ამბობს:

„ახ, მიყვარხარ, ბუნებაო,
..ხან მეფე ხარ გრგვინავ და ქუხ
ხან კი მორცხვი პატარძალი!..
შენ მოგანდობ გულის პასუხს,
ნუ მოგვაკლებ მცირედ ლხენას
შენ სიმებზე ვამუსიკებთ
შეზღუდულ და გვემულ ენას"... (კაეშანი).

***

ასე ძლიერათ იტაცებს პოეტს ბუნება, მაგრამ ეს ძალა უფრო აშკარათ მეტყველებს, როცა სამშობლოს ბუნებას უკავშირდება, აქ უბრალო მომაკვდავსაც კი აამუსიკებს და პოეტურ ფორმებით ალაპარაკებს ეს ბუნება. ყოველი აზრი, პოეტურ ფორმით სამხელი ცდილა ამ ბუნების სურათებით გარდაშლას, იგი თვითონ ითხოვს შედარებას, დაკავშირებას. ასეთი იყო ძველ ელინთა სამშობლოც, რომლის ნათელი ბუნება და ცხოველი, თბილი, მზე, ლამაზი, მწვანე გორაკები, მოდუდუნე მდინარენი უშრეტელ წყაროს გვრიდენ საბერძნეთის პოეტებსა და ფილოსოფოსებს ნათელი სახეებისას...

სამშობლოს ბუნება ახოსპირელისათვის რაღაც განსაკუთრებული ფიზიკის მატარებელია, რომელიც გულს ათფობს და სიყვარულით თვისკენ იზიდავს.

„არა, სულ სხვაა, იქ, სამშობლოში:
ტყის ლამაზ ფოთლებს ვეალერსები;
ყოველი კუთხე ჩემს განვლილს მამცნებს
და ნეტარებით ვთვრები, ვივსები"...

აქ, აშკარაა, რომ ავტორს სურს გამოყოს სამშობლოს ბუნება უმთავრესათ იმის გამო, რომ იგი „მის განვლილს ამცნებს" წარსულზე ელაპარაკება.

მაშასადამე, ცხადია, სხვა რომელიმე მხარე ამ ადგილს ვერ დაიჭერს.

„ედემი ასე მინაზებული
მიჩვენეთ, ნეტა კიდევ სად არი?!.
კუთხევ, გულისა დამატკბობელო,
კუთხევ, **სულ-ხორცის წმინდა აკვანო,**
ნუ განმიშორებ... შენს მკერდზე მომკალ,
რომ სიკვდილშიაც შენ გეთაყვანო"!..

***

ასეთია ძალა სამშობლოს ბუნებისადმი ლტოლვისა, იგი არსებითად საიდუმლოებრივი ძალაა და მისი სიყვარულის ამოფხვრა გარეშე ძალას არ შეუძლია.

ავტორს არ მოეპოება საშუალება ამ სამშობლოს ბუნების სხვაგვარობის გადმოსაცემათ, მაგრამ იგი მის სიდიადეს ინსტიკტით განიცდის როცა ამბობს:

„არა, **სულ სხვაა** იქ, სამშობლოში".

აქ კიდევ ერთი სწორი აზრია იმის შესახებ, რომ თვით უაღრესი ჭეშმარიტება, რომ მისი დამტკიცება ჩვეულებრივათ შეუძლებელია. შეიძლება მარტოოდენ მისი გრძნობა და ამიტომ მას ჩვეულებრივის საზომით, სარგებლიანობის მეთოდით, უტილიტარისტული თეორიით ვერ მიუდგებით, რადგან იგი სულ სხვაა... მისი ბუნება უცხოა. აი, საფუძველი ჭეშმარიტი პატრიოტიზმისა, რომლის ძალას უფრო ადრე განიცდით, ვიდრე მის საზრიანობას.

***

ახლა მინდა კიდევ. რაკი დრო ნებას არ მაძლევს ამ მწერალთა სათითაოდ ჩამოთვლისას, ორის სიტყვით ერთ სულ ახალგაზდა პოეტზე შევჩერდე,—რომელმაც თავიდანვე ჩემი ყურადღება მიიქცია და რომელიც დღემდი პირნათლად გამოდის მკითხველ საზოგადოების წინაშე. მე მოგახსენებთ ცვარ-ნამზე.

უკანასკნელი მით არის შესანიშნავი, რომ მან თითქმის პირველმა შესძლო, რასაკვირველია ჯერ სულ ოდნავათ, გრიშაშვილის ლამაზი და ლაღი, ორიგინალური ფორმა დაეკავშირებია ეროვნულ მოტივებთან. მან ძველ ლოზუნგებს ახალი ფორმა მისცა და მით ახალ სიტყვათ აქცია იგი.

ამას გარდა ჩვენ ვხედავდით. რომ თანამედროვე მწერალთ კმაყოფილებდა სამშობლოს სევდის ზიარება და მის მწუხარების პასიური ქცევა; რაკი მათ არ შესწევდათ ძალა თვისი წადილი რეალურათ ნამდვილ აქტის სახით განეხორციელებიათ, ისინი უიმედობის მორევში ცურავდენ და მარტო სტიროდენ და ბოლოს შეუყვარდათ კიდეც ეს ლამაზი გამოთქმა სევდისა,—ტირილი.

***

სულ სხვაგვარია ცვარ-ნამი. იგიც იტანჯება სამშობლოს ბედით, სტირის, მაგრამ აქვე ლესავს ხმალს შურისძიებისას და მომავალს იმედით გასცქერის. ყველა ამას დაუმატეთ ლამაზი და სრულიად ახალი ფორმა, რომელიც ასეთი შინაარსის ლექსებისათვის არასოდეს არ ხმარებულა, და თქვენ იგრძნობთ ამ ახალგაზდა პოეტის ძალას, მის უტყუარ ნიჭს.

„სევდის ზარსა ვრეკავ, სევდის ხმით,
გავსძახი მთა-ველ, ყანასა:
სამშობლოო ფიქრის ყვავილი
სუსხმა დააჭკნო დანამა.
სულის სიღრმეში ვინახავ
მწუხარე დედის ნანასა,
**თან გულისფიცარს ვალესავ**
**შურისძიების დანასა".**

(იხ. სევდის ჩანგურზე).

აქ უკვე აშკარათ ვგრძნობთ, რომ გაისმის სრულიათ ახალი სიტყვა, რომელსაც კარგა ხანია გადავეჩვიეთ, რადგან უიმედო ტირილი გვსმენია უმთავრესად ჩვენი ახალი მგოსნებისაგან და არა ასეთი მტკიცე შურისძიების ხმა.

***

თუ სხვებისთვის სამშობლო მარტო რღვევის სურათს შლის და სევდას გვგვრის თვის გადაგვარებით, ცვარ-ნამისათვის ამანათ იწყება მისი ფურჩქნა, შლა, რომელიც ეროვნულ თვითშემეცნებას, განახლების ბრძოლათ გადიაქცევს, ეს იმედი და სამშობლოს განახლება ავტორს ვარდის კოკორის სახით გადმოუშლია; და ამ იმედს, ვარდს, სამშობლოს სიმბოლოს, უმღერის:

„ცით ვარსკვლავი გეღიმება,
დაგქათქათებს ნაზი მთვარე,
ტრფობის ისრით განაწონი,
სატრფიალოთ გიწვევს არე.
ცელქი სიო ყელს გეხვევა,
გიხუჭუჭებს შავ დალალებს,
ნეტარების კოცნით გიგზნებს
მარჯნის ტუჩებს, გიშრის თვალებს;
**გაზაფხული ტახტს გიმზადებს,**
ამწვანდება მდელოც მალე,
**მომავალი გვირგვინს გიწნავს,**
**გაიფურჩქნე, გაიშალე".**

ავტორი გადამავალი ხანის მწერალია, როცა უმოქმედო ჭვრეტა და უუნებო ლტოლვა, უაქტო ოცნება უკვე აქტიობის საზღვრებში უნდა შეიჭრას და ამიტომაც მისი ქნარი მზიურ-ხალისიანი, ამაყი და ოპტიმისტურია. იგი ხედავს იდუმალ მუშაობას სამშობლოს განახლებისათვის, რომელიც დღეს თუ ხვალ აშკარათ გაიშლება. ხედავს და არც ცდება...

აი, ახალი გზა ჩვენის პოეზიისა, რომელმაც დიდი როლი უნდა ითამაშოს. რაც უფრო ჩქარა გაივლის იგი თვის გზას, მით უფრო მალე მოხდება პოეზიის განთავისუფლებაც. მაშ, ვუსურვოთ, რომ ისიც „გაიფურჩქნოს, გაიშალოს".

ავქი მაჩაგა.

სავაჭრო სახლი
# ი. გოკიელის ძმ—ბის
ქუთაისში.

მიღებულია და იყიდება ძლიერ ზომიერ ფასებში **სადარბაზო ბარათები** საუკეთესო ხარისხის (Визитныя карточки изъ загран. бристоли). რუსული კალენდრები. საუკეთესო გამოცემა ოტტო კიხნერის და სიტინის ამხანაგობისა. ქართული კედლის და ჯიბის კალენდრები. ტყავის პორტფელები. (Портфели адвокатскія, документныя и вексельныя).
კალათები ქაღალდის ჩასაყრელი.
**27-6 31 დეკემ. გაიყიდება წვრილათ ყოველნაირი კონფეტები** დაკლებულ ფასებში.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.
# ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი ხაოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინოლეუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მჟირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.
პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.


არ მენახა. მაყურებლებსა და ჩემს თავს არ ვუსურვებდი ასეთ უბედურებას და, ნეტავი, ამ საღამოს მოთამაშეთ კი...

ამ საღამოს აწამეს გადაცვალებიდან ოცი წლის თავზე პიესის ავტორი, აწამეს ყველა მოქმედი პირი, მაყურებლები და უკანასკნელათ აწამეს თვით ქართული ენაც.

ამ საღამოს დედოფალი ისე გავდა დედოფალს, რომ მას შობის ხეზე ყოფნა უფრო შეეფერებოდა ბავშების გასართობათ, ვიდრე სცენაზე თამაში.

როლი წყალივით იცოდა, მხოლოდ „დიდებულო შახის“ მაგიერ „დიდებულო დე“... ე. ი. დედოფალო უნდა წამოსცთენოდა.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ კარგები იყვენ მხოლოდ ბ. მგალობლიშვილი ქაიხსრო და დ. ჩარკვიანი კოსტანტინე.

**ერთი წამებულთაგანი.**

## პასუხათ თავადს ვალერიან ჯაფარიძეს.

„ერის“ მე 35 ნუმერში მოუთავსებია წერილი თ. ვალერიან ჯაფარიძეს ჩემი კორესპოდენციის შესახებ, რომელიც ამას წინათ. დასტამბული იყო გაზ. „მერცხლის“ მე 71 ნუმერში. თავადი ცდილობს ჩემი კორესპოდენცია გააბათილოს და თითონ კი მკითხველ საზოგადოებას აბრამის ბატკნათ მოაჩვენოს თავი. თუ რა უცოდველი ბატკანიცაა თ. ვალერიანი ამას ახლავე დავანახებ მკითხველს, ნათქვამია—ტყუილს კარამდი მიჰყევიო და ჩვენც მოვყვეთ მას. იგი სწერს „გუშინა და დღეს არ დამიწყია მადლობა ღმერთს ცხოვრება და ეს არის პირველათ მესმის და ისიც გაზეთის ფურცლებზე ჩემი გლეხებისადმი უდიერათ მოპყრობა“-ო.

როგორც ჩემს წერილში ვამბობდი—წელს ივნისში მოხდა მუხნარი საფიხხის გამიჯვნა. მთელი ერთი კვირის განმავლობაში მიწის მზომელის სადგომის წინ თავს იყრიდა გლეხობა და შეყიყინებდენ პებატონე თავადაზნაურთ: —მთა ნახევარი ჩვენია და ნახევარი თქვენი. თავადი ვალერიან ჯაფარიძე იმ ზომათ დაფრთხო გლეხების კანონიერმა მოთხოვნილებამ, რომ მან მოიწვია ერთი შეიარაღებული დარაჯი, რომელსაც არ იშორებდა ყოველ ფეხის გადადგმაზე. „თავადო! რათ დაგჭირდათ შეიარაღებული დარაჯი? რატომ სხვა მებატონეებმა არ მოიწვიეს თქვენსავით დარაჯები? შემდეგ ბძანებთ: „აქაც ნამდვილ მონაწილეებთან ერთად ჩამოეჩხირენ ისეთი პირები, რომელნიც ყოველ თვის მოხერხებულ დროს მზათ არიან მღვრიე წყალში თევზი იჭირონო“. ერთი გვიბძანეთ, ბატონო, ვის ეძახით ნამდვილ მონაწილეებს? ჩანს გლეხებზე ბძანებთ მღვრიე წყალში თევზების დაჭერა სურდათო, რადგან მხოლოდ ერთადერთი მებატონე იყავით უარზე გლეხებისთვის ნაწილის მიცემაზე. ნუთუ ამის შემდეგ კიდევ ბძანებთ—გლეხებს უდიერათ არ ვეპყრობიო.

ბძანებთ:—„მე ვსთქვი—ყველამ თავის ნაყმევი გაიჯეროს, მე ჩემსას დავაკმაყოფილებო“. აი, სწორეთ აქ ემარხა ძაღლის თავი და კიდევაც მიგიხვდენ გლეხები, ახლა ისე არ ტყუვდებიან, როგორც ეს უწინ იყო.

ეს სიტყვები თქვენ მართლა ბძანეთ, მაგრამ აღარ გახსოვთ, რომ მიწის მზომელს „წაულაპარაკეთ“, ვინც კანონიერ საბუთს არ წარმოადგენს მას მონაწილეთ არ ვიცნობო. თქვენ კარგათ იცოდით—ორას კომლ გლეხში, ერთსაც არ ეწერა მთის მონაწილეობა თავხსნილობის ხელწერილში, ზოგიერთ გლეხს უბრალო ნაგლეჯი ქაღალდები ქონდა. ასეთ ნაგლეჯ ქაღალდებს აბა ვინ მიიღებდა „კანონიერ“ საბუთად? თქვენი წინადადება კიდევაც შეატანიეთ მიწის მზომელს ოქმში. გლეხები „კანონიერ“ საბუთს ვერ წარმოადგენდენ და დარჩებოდენ პირში ჩალა გამოვლებული. აღარ გახსოვთ—როცა ეს წინადადება მიეცით გლეხებს, თქვენმა ნაყმევმა ზურაბ კობერიძემ როგორ გიპასუხათ: ჩვენ შენი მოცემული არ გვინდა, თუ გვექნა ნაწილი, მთელ სოფელს ერთად უნდა გვქონდესო.

ზურაბ მაისაშვილის ისტორია აქ რა შუაშია? ალფონას თუმანიშვილის ნაწილს თუ თხოულობდა ვინმე, ის თქვენ რას შეგეხებოდა, თქვენ ხომ თუმანიშვილის მზრუნველი არ იყავით. იმასაც ბძანებთ, ვითომც მწერალი ელბაქიძისგან პირობა არ დაგეტყუებიოთ. სიტყვა „დასტყუა“ სრულიად უსაფუძვლოთ არის ნახმარი კორესპონდენციაში. თავადო, გულზე ხელი დაიდევით და ისე სთქვით, სიმართლე. დალოცვილო, თუ ელბაქიძემ თავის ნებით გადმოგცათ ხელწერილი, რაღა აძახებდა ხალხის წინაშე—თავადმა ვალერიანმა პირობა დამტყუაო. არც ის გახსოვთ, რომ ამ მოვლენას შემდეგ უკმაყოფილო დარჩით გლეხებზე და სულ მათი დანაშაული გელანდებოდათ თვალწინ. ეს იქიდან ჩანს, რომ თქვენ წერილი გაგეგზავნათ ამბროლაურის ნაწილის ბოქაულისთვის ს. წესში ვაზები ამიჭრეს და თხოულობდით დამნაშავის სასტიკ დასჯას... როცა წესში ჩამობძანდით, მეზვრემ მოგახსენათ—ვაზები კნეინამ ასჭრა, რადგან ცუდი იყოო. თქვენ სახტათ დარჩით და მაშინვე ანისკენ გაემგზავრეთ. მეზვრეს რომ არა, მთელი სოფელი უნდა აეფორიაქებიათ დამნაშავის ძებნაში.

ასე გახლდათ ეს თავადო. და დე მკითხველმა საზოგადოებამ გაარჩიოს ჩვენ შორის მართალ-მტყუანი.

**რაჭველი მასწავლებელი.**

რედაკ.-გამომცემელი **გ. ბრეგაძე.**


ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
## „სახალხო გაზეთი“
(წელიწადი მეხუთე).
**1914 წ. გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდი გამოდიოდა გვერანაბით სურათებიანი დამატება**

1914 წლ. ხელის მომწერნი, ვინც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან მიიღებენ პრემიათ: პირველი წიგნი: ქართველი მწერლები: 1 „უგვირგვინო მეფე“ ისტორ. დრამა 5 მოქ. ალექ. შანშიაშვილისა. 2. „მიმქრალი შარავანდი“ ისტ. რომ ვ. ბარნოვისა მეორე წიგნი: უცხოეთის მწერლები: „დონ კარლოსი“—ტრაგ. შილერისა, თარგმ. გერმან. ალ. შანშიაშვილისა. და სხვ. ნაწარმოები უცხოეთის მწერლებისა მესამე წიგნი „სამეცნიერო კრებული.“ ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

**გაზეთის ფასი**

**თფილისში და მის გარეთ.**

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8მ.10შ. | 8 მ.—„ | 7მ.10შ. | 6მ.15შ. | 6 მ.—„ | 5მ. 5შ. | 4მ.10შ. | 3მ.15შ. | 3 მ.—„ | 2მ. 5შ. | 1მ.10შ. | — 15შ. |
| **საზღვარ გარეთ.** | | | | | | | | | | | |
| 15მ.—„ | 13მ15შ | 12მ.10შ | 11მ.5შ | 10მ.—„ | 8მ15შ. | 7მ.10შ. | 6მ. 5შ. | 5 მ.—„ | 3მ.15შ. | 2მ.10შ. | 1მ. 5შ. |

ცალკე ნომერი ყველგან შაურათ; დამატებიანი შვიდი კაპეკათ.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი
## „განათლება“
**მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისთვის.**
**(წელიწადი მეშვიდე).**

1914 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივათ გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან და სიტყვაკაზმული მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. **ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.**

ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ყოველგვარი ცნობა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი (4 მ.)** მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ **სამ მანეთად**, საზღვარგარეთ 6 მან. 1914 წ. ხელისმომწერლები მიიღებენ საჩუქრათ: **ილია ჭავჭავაძის, პესტალოცის, უშინსკის, რუსოსა და კომენსკის სურათებს.**

ხელისმოწერა მიიღება **თფილისში:** ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან. ქუთაისში** ისიდორე კვიცარიძესთან, **ბათომში** ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია „განთიადში“, ამ ორ ადგილას და სამტრედიაში იყიდება ცალკე ნუმრებიც, თითო 2 აბაზათ.

**რედაქცია სთხოვს ხელისმომწერლებს დროზე დაიგვიანონ ჟურნალი.**

**მისამართი:** Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія *Л. Г. Боцвадзе.*

**რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.**

## კ. ოცხელისა და ამხ. წიგნის საწყობში
**შემდეგი გამოცემანი:**

1. ყუბანეიშვილი. პირველდაწყებითი დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე ფ. ყდით 6 შაური.

| | | | |
|---|---|---|---|
| 2. ქვარიანი. | საქართველოს მოკლე ისტორია | ფ. | „ 2 აბაზ. |
| 3. ხუნდაძე. | ქართული გრამატიკა | ფ. | „ 3 „ |
| 4. მისივე. | მოკლე ქართული გრამატიკა | ფ. | „ 1 „ |
| 5. ნიკოლაიშვილი. | მოკლე ქართული გრამატიკა | ფ. | „ 1 „ |
| 6. რობაქიძე. | სამშობლოს აღწერა | ფ. | „ 10 შაური. |
| 7. „გუთანი“ | ქართული სახელმძღვანელო | ფ. | „ 17 „ |
| 8. გერსამია ლევ. | ლოცვანი | ფ. | „ 2 „ |
| 9. დათეშიძე. | ქართული წერის დედანი | ფ. | „ 5 „ |
| 10. კიტა აბაშიძე. | ეტიუდები XIX საუკ. ქარ. ლიტ. შესახებ | ფ. | „ 14 „ |

აქვე იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი. პროვინციის წიგნის მაღაზიებს ეძლევათ დიდი სალაგათი.

გვერდით გამართულია სპეციალური **კანცელარიის მაღაზია დ. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება სასწავლო და საკანცელარიო ნივთები ძლიერ იაფათ; ამ ჟამათ აქ მიღებულია მრავალი სავიზიტო ბარათი და კალენდარი 1914 წლისა.

**ადრესი:** Кутаисъ. книжный магазинъ т-ва К. И. Оцхели.

## ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
მიხეილის ქუჩაზე ამ დღესასწაულებისთვის მიღებულია საუკეთესო ღირსების
# თეთრი თაფლი
ალექსანდროპოლის „ალპიის ფლორის“. აქვე გვაქვს ყოველი გვარი საბაკალეო სიქონელი ფასები ზომიერია.



**ქ. ქუთაისში. (საკრებ. ტაძართან).**
**ა. თაბაგრის მაღაზიაში.**
მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანა, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სეკარგის პირობას ვიძლევით. ფასები ძლიერ დაკლებულია. ვყიდით ნისიათაც თვიური შემოტანით.

## გ. გორდამისა და ს. წერეთლის
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაგ-მალცევის ბემსკის მიწაბის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მისის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ“
**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**
საუკეთესო
ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
**ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

## მევენახეთა საყურადღებოთ!
1913 წლის ღვინის მოსავალს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო.

ამერიკული ვაზის სანერგე **„კლდე ქლორული“** ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამყნობს სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტე, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოლ—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო“-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და მელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზე ძმ. გოკიელის სახლში **ვ. ტიეზო.**


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.